

ქ.თბილისი

2019 წლის 28 მარტი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2019 წლის 28 მარტს, ა.ა.ი.პ. „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს ოფისში.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სხდომას ესწრებოდა კომისიის 5 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებაუნარიანად, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები: მირიან თავზარაშვილი, აკაკი კერესელიძე, ვახტანგ სამხარაძე, ლევან ჩიკვაძე, ირაკლი ჩიქავა.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა სრკ-ს საშეჯიბრო კომიტეტის მეთვალყურეთა ქვეკომიტეტის თავმჯდომარის ზ. ბაკურაძის განცხადება, მატჩის მეთვალყურის გ. ქერაშვილის ოქმი, მთავარი მსაჯის ს, აბულაშვილის, კიდის მსაჯის თ. გვირჯიშვილის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, მოხსენებითი ბარათი და ვიდეომასალა, ამა წლის 24 მარტს, დიდი 10-ს მატჩზე, თბ „ლოკომოტივი“-სა და ბათუმის „ბათუმი“-ს შორის, მომხდარი ფაქტის შესახებ.

#### გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

1. თბ „ლოკომოტივი“-ს მორაგბე ზურაბ ძნელაძე - მატჩის ოფიციალური პირის გადაწყვეტილებებზე საჯაროდ აპელირება.

სრკ სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.2.4 პუნქტით და ერთხმად მიიღო შემდეგი

#### გ ა და წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1. თბ „ლოკომოტივის მორაგბე ზ. ძნელაძე დისკვალიფიცირებული იქნას 2(ორი) სათამაშო კვირით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 300(სამასი) ლარით.
2. საჯარიმო თანხის გადახდის ვადა განისაზღვროს 2019 წლის 28 აპრილამდე.
3. საჯარიმო თანხის მითითებულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, თბ „ლოკომოტივი“-ს მიმართ ამოქმედდება სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის 3.3 პუნქტი.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე



/მ.თავზარაშვილი/